

შაბათი, 6 გვანამთვე, 1916 წ.



ლოცვა შინათში.

## ჩემი სკოლა

შემომესმის—რასა სჩხავი  
 ვით ბედითი ყვაივი?!  
 შენი სევდა-კაეშენითა  
 მოგვაბეზრე თავი!  
 აღარ გატკობს ყვაივით სუნი,  
 მზესა დასდე წუნი,  
 გმირთა შვილსა შეგეყარა  
 სიმხდალისა მუნი!...—  
 ასე მსჯელობს სულელთ ფარა!  
 ტყუილია!.. კმარა!  
 სევდის ჰანგსა მე არ ვამბობ  
 ისე... წარამარა!..  
 შეზიზღება მე ლაჩარი  
 მოწუწუნე ქნარი!  
 სევდა ჩემი, ოჰ, არ არი  
 ტრემლით სველი ჩვარი!  
 შახვილია იგი მკრელი  
 ალივითა მწველი!  
 იმის შუქით დავარდვი  
 მე წყვილიდი მხრწნელი!..  
 მე პირადად არ მაკლია  
 ვარდი თუნდა ია:

სარკე არის ქვეყნის სევდის  
 ჩემი გული ღია!  
 ვაების ხმა ცასა-სწვდება  
 ერთ დიდ კენესად ჰხდება,  
 სული, ზეციით მონაბერი  
 ბორკილებში კვდება!..  
 დედის კენესა მიმსებს სმენას  
 და მიწამლავს ენას:  
 ჩემს სევდაში მე ვატარებ  
 მთელ სამშობლოს წყენას!..  
 წვეთი წვეთად ის გროვდება  
 მქუხარე ზღვად დგება!..  
 და იზრდება ჩემში მძლავრად  
 მკვეთრი შურის გება!..  
 ახ, ეს წყენა დიდი არი,  
 ბალღამივით მწარი,  
 სევდის ბრძმედში იჭედება  
 საომარი ზარი!..  
 მალე დაპრეკს!.. რკინის ხმითა  
 შესძრავს მთა-ბარ-მდელოს!..  
 ამ გვარ სევდით ვუბელადებ  
 ახალ საქართველოს!..

კ. მაყაშვილი.

## სახელი

(ალბომში)

აი შენს რვეულს კალმის წვერი შევახე კრძალვით  
 და გამოვხატე შიგ ძვირფასი შენი სახელი...  
 რა ვქნა!—არ ძალმიძს გრძნობა ჩემი გამოვსთქვა მალვით,  
 არ შემძლია ჩავკლა მკერდ ქვეშ ცეცხლი დამწველი!

ვსწერ და თან ჩუმად გევედრები, გეძახი გულში...  
 ოჰ, ეს სახელი ჩემს ენას არ ეუცხოება!  
 ვინ უწყს რამდენჯერ მის წარმოთქმას ჩემს დაღლილ სულში  
 შთაუნერგია სინარული და სათნოება.

კურთხეულ იყოს ბაგე მისი, ვინაც პირველი  
 იყო ამ სიტყვის ქვეყანაზე შემომწირველი!

მაგრამ მგონია: სათაყვანო შენი სახელი  
 ცაში ანგელოზს სიმღერის დროს წამოსცდენია,  
 შენი სულისთვის ის შემოქმედს დაურქმევია,  
 როგორც იმისი უნაზესი გამომსახველი!

კ. ჭიჭინაძე.

აჭარელთა საჰმის დამცველი ვეჰილი

ეროვნული  
ნიჭიერობა



სხედან: ქიქოძე, ასლან ბეგ ს—, ხოსშამედ—გ, გელაზაროვ, გეგეჭკორი, ჭიაბრიშვილი, ჯაფარიძე, მაჭავარიანი.  
სდგანან: ახუნდ-ზადე, ქარცივაძე, მუათ, კაჩუხოვი, ანჯაფარიძე.

მეგობრის ხსოვნას

კვლავ მე შენს სევდას ვენაცვალე,  
კვლავ მე შენს სევდას ჩავიკრავ გულში.  
ვეცდები, ბიჭო, მეც ისე მოგკდე,  
როგორც შენ მოკვდი ძმათ სიყვარულში.

შოთ მღვიმელი.

ტრადედია  
ეჭილენია  
(დასასრული)

მოკმადება დ.  
(ულისე შემოდის)

ულისე და ალამემონ.

(ალამემონ ულისეს დაუძალავს ჯარის გამოსვლის მიზეზსა).

ალამემონ (ოფიცარს). ყარაულთ  
გამოცვალეთ (ჯარი გავა).

ულისე. ხელმწიფე! ახილ გამარ-  
ჯუტბული, მრავლის ტყვიითა და ნა-  
შოვრითა შემოვიდა, ამისმა მოსვლამ  
მრთელი ჯარის პირი გაანათლა.

ალამემონ. ახილ ჩუწნთაგან ყო-  
ველთს პირ-ნათელია, მაგრამ... ჩ-  
ნ დიად შორს ვართ პირის სინათლისა-  
გან... ულისე! ჩუწნ უნდა იმისი გული  
ასე დავამწვიდოთ, ასე დავატკობთ,  
რომ მე და იმისი უბედურება (სჯობს  
რომ ესე ვსაქვა; ჩემ ღმერთებზედ  
სასოწარკვეთილებდა) ისე არ ემწაროს,  
როგორც დიდია უბრძანე პატარა  
ტახტი დასდგან, მე იმას ხელმწიფე-  
რად მივიღებ და გულს მოუგებ. ჩ-ის  
აღსვლისათს უბრძანე ის ცერემონია  
დაეწყოს, როგორითაც შენ როდოსს  
გამარჯუტბული მიმიღე.

ულისე. ხელმწიფე! დიდი ნება  
ვაქუს შენ გულზედ ნიჭად მოცემუ-  
ლი და ხმარებაცა მისი იცი,—როდეს-  
საც გინდა—სიხარულის სიტკომობით  
დაათრობ და როდესაც გინდა—მოს-  
წყლავ...

ალამემონ, წიდი, ახილ შეაქციე,  
მანამ ცერემონი დაეწყობოდეს, მაგ-  
რამ შენ ჩ-თან მოასწარ, შენის პი-  
რით სიტყუას ვიტყვი. (ულისე წავი-  
და.—ალამემონ კარავში შევიდა).

გამოცხადება დ.

მოქმედება ე.

(საკრავი მოჰყუტბა კურასა მანამ  
ფარდას ასწევდნენ, ალამემონ ტახტ-  
ზედა დგას, ულისე მარჯუნივ უდგას,  
კალხაზ და ქურუმნი მარცხნივ; ტახ-  
ტზედ სტოლი დაფარებული, სტოლ-  
ზედ გვირგვინი და ხმალი ახილესი-  
სათს ვერცხლის სინით, ეგრეთუც  
დიდებულნი; ულისესაკენ შემოდის  
დროშები—ორ-ორი ჯარის კაცნი და  
დიდებულნი, ორ-ორი განიერად, და  
დროშები,—და ყველა იქმნენ კონ-  
ტერმარშსა; ამ დროს დედოფალი და  
ეჭილენია ტახტს უკან დაფარულად  
დგანან და ახილესს შეზხარინან; მაშინ  
ჯარი დარჩება ბოლოს და დროშები  
მწყრივად, დიდებულნი ერთს პირზედ,  
მარცხნივ ახილ, და სულ ერთად იწ-  
ყებენ სამ-სამს თაყუანის-ცემას; ხელ-  
მწიფეც ეგრეთუც თაყუარავს; მეოთ-  
ხედ, ტახტის წინ დაიყენების და  
პანტამინით<sup>1)</sup> ლაპარაკობენ; ახილ  
მოახსენებს თავის ძლევაებს, ალამემ-  
ონ სიამოვნით ისმენს და სიტკომო-  
ბას აჩვენებს, ახილ დროშებს დაანა-  
ხვებს, ჯარი ჩეშტს მისცემს, დროშე-  
ბი დაემხოზიან, ბარაბანი პოხოდსა  
ჰსცემს სანამ ალამემონ ანიშნებს, ბა-  
რაბანი დადგება, დროშებს ამართვენ,

<sup>1)</sup> პანტომინი არის ხელით ნიშნე-  
ბით ლაპარაკი,—მუნჯის მსაგავსად.

ახილ თაყუანს-სცემს და ძირს ჩამოა,  
ულისე წაიკითხამს ამ ქუტმოწერილსა,  
ალამემონ დაჯდება, ქურუმნი განი-  
პყრობენ ხელთა).

ულისე (იკითხავს) „მათის მეფობის  
დიდებულებამ სათნოიჩინა მოხსენე-  
ბული ძლევა ახილესისა, და დიდის  
მადლობითა მიითვალავს, რომ არა  
თუ პირუტლი იყო ესე მდინარეობასა  
შ-ა ამა ნბ წლისა მეფობისა მისისა,  
რამეთუ მკლავი სერვატორისა განამ-  
ტკიცებდა საქურვგლსა მისსა და ძა-  
ლი მისი წმიდა შემწე ექნებოდა  
განზრახუასა მისსა, გარნა აღიარებს  
ეგრეთუც ერთსულობასა ლაშქართა  
მისთასა, გამოცდილებასა და სიმნე-  
სა სამლთოსა ახილესისასა, რ-ლისა  
მოქმედება უხარის ზეციერთაცა; რაო-  
დენთა შინაგანთა მამულისა და ბრძო-  
ლისა საქმეთა განაგებდა სიმკაცრით  
ხმელსა და ზღვასა ზ-ა, და ვითართა  
ბედითა შეასრულებდა მათ, ვ-დ ნე-  
ბასა მისსა არა თუ მოქალაქენი ერთ-  
ხმა-ექნებოდნენ, მახლობელნი შეუდგე-  
ბოდნენ, მტერნი დაემორჩილებოდნენ,  
—ა-დ ქარნიცა და ბორენი შეეწეო-  
დნენ მას. ვითარი უკუც სახელი შეი-  
ძლებს შესწორებასა ახილესისა კე-  
თილ-მოქმედებისასა, ანუ ვინ წინა-  
დაგვიდვას ჩუწნ რამე უადრესი, რო-  
მელ იყოს ჩუწნთს ახალ, ანუ სხვი-  
საგან გაუგონელ? ვინადგან არა მხო-  
ლოდ ერთი აქუნ მათ სპასპეტთა  
შესაფერნი კეთილ-მოქმედებანი, რ-ლი  
ზოგად ყ-ლთა და ჯერ-არს ჰქონებდა,  
ა-დ არს მხოლოდ მის (ახილესის) შ-ს:  
საქმესა შ-ა სასჯელის-მოყუარება,  
განსაცდელსა შ-ა სიმხნე, მოქმედება-  
სა შ-ა ცხად, აღსრულებასა შ-ა სის-  
წრაფე, განსჯასა შ-ა სიფრთხილე,  
—ესე ყოვლინი აქუნ მას, რ-ლიცა არა  
აქუნდათ არცაერთსა სპასპეტსა წარ-  
სრულთა, გინა აწყყოთა მეფეთასა,  
რ-ლიცა ვიხილეთ ჩუწნ, ანუ ვისმი-  
ნეთ,—ჩუწნება მას ბოსნი, რომელნი  
განარინნა მტერისაგან ხელმან მისმა,

მოწამე არს ლაქედემონია, რომელნი  
მრავალსა საფრთხესა შეწყუდეულ იყუ-  
ნენ მტერისაგან და გამოიხსნა არა  
თუ ძლიერისა ბრძოლისა ზართა,  
არამედ სიმსწრაფითა გონებისათა;  
მოწამე არს აჭრიკა, რ-ლიცა შეიწრე-  
ბულ იყო ლაშქართაგან მტერისა-  
თა, ხოლო ამან განარინა, და შეიღე-  
ბა სისხლითა მათითა; ეწამება ვალ-  
ლია, რომლისა შ-ს ლაშქართა ჩუწნთა  
იშპანიად განუხუნა კარნი მძიმენი  
მრავლისა გალატელთა სისხლისა და-  
ლურითა; ეწამება იშპანია, რომელმან-  
ცა მრავალგზის მტერნი ძლეულნი და  
დაცემულნი იხილა მისგან,—ამისთს  
ძივანიტებთ მას გვირგვინსა ლავრისა-  
სა, ნიშნად ძლეუა-შემოსილობისა, და  
ხრამალსა, ვითარცა შეცნიერსა ხმარე-  
ბისასა მისისასა; ყოველთა, რ-ლთა  
ემსახურეს მას ჟამსა ბრძოლისასა—  
სიმალლიდგან ტახტისა ჩუწნისა ვებრ-  
ძანებთ მეფესა და თანაგანზრახსა  
ჩუწნსა ულისეს, რათა მისცეს მათ  
ნიჭი ნებისაებრ საღმრთოსა ახილე-  
სისა და ღირსებისა ძათისა“. (ტახტი-  
დამ ჩამოდის; ჯარი გავა).

გამოცხადება ე.

მოქმედება ვ.

(ალამემონ, დედოფალი, ეჭილენია,  
არო და მუახლენი)

ალამემონ. დღეს, დედოფლო,  
ეჭილენიას ღმერთნი ტაძარში ითხო-  
ვენ; შენ აქ იყავ, თან ნუ მოჰყუტბი.

დედოფალი. როგორ იქნება, რომ  
ჩ-ის ქალის ბედნიერებას არ ვუყურო!  
ვინ დააწყობს ცერემონიას ორის  
ხელმწიფის შვილების საკადრისად? არ  
იქნება, რომ მე იქ არ ვიყო!..

ალამემონ. შენ არ გეგონოს, რომ  
შენი კარის-ტაძრის განმუშავება ჰქო-  
ნდეს მინდურის ბოძობასა,—გლაგი-  
რის სამსხუტბოლო სისხლში გასვრი-  
ლის ხრმლისა, შუბისა და ფარების  
ნამტერვისაგანა არის შედგმული.

რუსეთის მოკავშირეთა და მოწინააღმდეგეთა მთავარ-სარდალნი და მინისტრნი

ეროვნული  
ნიჭიროება



ბავარიელი ბატონიშვილი რეპრინტი.



გენერალი ჰინდერბურგი.



ჰერცოგ ალბერტ ვიუტენბერგელი.




გენერალი უოფრი.



ლორდ კიჩინერი (ზღვაში დაიღუპა).



გენერალი ფრენჩი.



ელჰარდ გრეი.

ამდენი სახელმწიფოს დედოფალი, როგორ იკადრებს იქ შემოსვლასა? იქ შენი ალაგი არ არის, არ მოხვიდე!

**დედოფალი.** ატრიდ, რას ამბობ! როგორ მიშლი იქ ყოფასა, ჩემის ქალისა და საღმრთოს ახილესის შეერთების ყურადღებასა? ამისთანა დღე ვის გაუთენდა? ეს ბედი სხუას მოკუდავს ვინ აღირსა? ფეტიდას შვილი მეტყვის: „დედავ“, — იუპიტერ და იუნონა მძახლად მიცნობენ! ატრიდ,

გახსოვს დედის ჩემისაგან ჩუშნის ქორწილის განგება და მამისაგან დიესპიტერის (?) ხატით დალოცვა?

**ალამენონ.** ნუ იცი კრტიმღვა! შენი აქ მოსულა არ იქნება (გავა).

**გამოცხადება 3.**

**მოქმედება 4.**

(ახილეს, დედოფალი, ეფილენია, არო და მუახლეები; ახილეს დედოფალს ეალერსება, ჩუმათ ლაპარაკობენ, ეფი-

ლენიას ტაძრისაკენ ხელს უშვებს, ხელზედ ჰკოცნის და ეფილენია დედას ჰკოცნის).

(არკაზ და ისინივე).

**არკაზ.** ჩქარა, დედოფალო, თქუშნ ქალს ტაძარში დაიბარებენ, — მაგრამ ნურც თქუშნ წახვალთ და ნურც მაგას გაგზავნით.

**დედოფალი.** როტომ? თვთ ამისი მამა ამათს ქორწილს განაგებს, თუშცა მე დამითხოვთ, მაგრამ რა იქნება, რა-

ხან იმისი ნება არ არის, — არ წავალ ხომ ვიცი, რომ ჩემი ქალი და ახილი ჰსჯულით შეიკვირიან და ამათს სახეებს (სახელებს?) ზეცას ღიმნნი დასწერენ.

**არკაზ.** ნურც წახვალთ და ნურც გაგზავნით.

**დედოფალი.** რას ამბობ?

**არკაზ** (ახილესს). შენი მეტი შემწე არა ჰყავს, მაგრამ გამოიმეტა, და დედამ არ იცის, — შენ იყავ ამისი მფარველი, (ტირილით) თორემ...

**ახილ** (გამწარბული). არკაზ, რას ამბობ? ცხადათ გვითხარ.

**არკაზ.** თუალის ასაკრავი... და დანა საკურთხეველზე მზა არის...

**ახილმა:** რას ამბობ?

**დედოფალმა:** უფი!..

**არკაზ.** როდესაც ალამენონმან კალხაზს ჰკითხა — ღმერთნი ქარს რად არ მაძლევენო, — კალხაზმა ილოცა, და იუპიტერმა ჩვენებაში უთხრა: „სანამ ელენას სისხლისაგან ქალწული ქალის ეფილენიას სისხლი ჩემს წინ არ დაიქცევა, მანამ ნებტუნს ატლანტის ზღუაზედ არ მოუშვებ და არც ქარს მოგცემ“. ულისემ ურჩივა ეფილენიას დაკულა. ეს ბერძენთ შეიტყეს და ერთპირად დაიძახეს: დაჰკალ, დაჰკალო! ალამენონმან მე თქუშნთან გამოგზავნა დასაბრუნებელად, თქუშნ გზაზედ მომცილდით; ბერძენთ თქუშნი აქ ყოფნა იციან, და ალამენონმა აღარ იცის რა ქნას; ულისე ბერძენთ ჯანლი აშინებს, კალხაზ ღმერთებს ამუქარებს; ერთი მელა დავრჩომილვარ, რომელსაც შენი მოწყალება მახსოვს.


**დედოფალმა:** უფი! ეფილენიამ: ჰახ! უბედურსა... ახილესმა: ახ!.. აკრიდი!.. ვინ დაგიტომობს?.. არკაზმა: ვაი!

**დედოფალმა.** ახლა გიციან, ალამენონ, შენის მამის ატრიდეს საკადრის



პორ. ნიკოლოზ დავითის ძე კიკნაძე.

**დაჯილდოვებულია:** სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლით და ბანტით, ანნას მე-4 ხარისხით სიმამაცისთვის, ანნას მე-3 ხარისხით ხმლით და ბანტით, სტანისლავის მე-2 ხარისხით, ოქროს ხმლით. წარდგენილია: ანნას მე-2 ხარისხზე ხმლით ბანტით და ვლადიმირზედ. დაქრილია ოსმალეთის ფრონტზე.



ჰაეროპლანს „მტრელს“ ესვრიან.



შვილად! ვიცი, ვიცი, ატრიდსავით სახელის სიყუარულით შეიღებეს ჰამას დაუწყებელი, — ა, ვარ, ვარ!.. მაგიტომ დამითხვე ტაძრიდამ, რომ ეჭიღენიას და ჯლუას დავიშლიდი? ამიტომ მომიყუანე აქ ახილესის სახელითა, რომ შეილი მომტაცო? ამიტომ დამხვედო გამწარებულის სახითა, რომ ღმერთების ჩემზედ გამწარება ვერ გაგიგო?.. ორგულო!.. ამას იქადლი — ღმერთნი მწყალობენო!.. ამას იკეხბდი, რომ კარის კაცი და ვეზირნი ჩემნი ერთ-გულნი არიანო; — ეს არის იმათი ერთგულება, რომ შეილი დაგუაკვლევინოს? რამდენჯერ ჩაგახედე კარის-კაცთ სარკეში, რომელშიაც ისინი თავის თავს წმინდათ ჰხედუენ და შენ გასურვილად აღვიჩნდენ? ახ! იმათი ჩურჩული... იმათი თავის უმეტრად დადება, წმინდად და ღირსად ჩუენება, შეფერებული მოწყალება, ვითამ ჰსურსთ შეწევნა იმისი და გული შესტივიათ, რომლისათვისაც საიდუმლოდ სასიკვდილო ისარი უკრავსთ!.. უწყალონო, ეგ არის თქვენგან მოკრემული ნიჭი თქვენის ხელმწიფის თქუენთვს თავის დადებისა და ღუაწლის ფასად?.. უგრძობელნო, უმისოთ რამდენ-ჯერ იქმნებოდით თქუენის სახლებს ნაცარში დამარხულნი! ამის დანაშაული ეს არის თქუენთანა, რომ შეგარჩინათ გვამებში თქუენი ბარბაროსებური და მოუთმინელი სულები; ახ, გესლნი დრაკონისანი... ნასხლეტნი ბუნებისანი, ახ, უგვანნი სულები! კარის-კაცი — ჯოჯოხეთის კარის კაცი... ერი, იქედნეს ტომისაგან ჩამოსრულნი, ვეზირნი, მტაცებელის ტიგრისა და ასპიდის ნაშობნი... ჰხედავ, უკვდაო, ვინ ჩაგიგდია ვის ხელში! — რას ვამბობ? აღარ არის ღონე... ხალხი ამდგარა თავის-მოყვარეობითა, ქურუმნი დაბრმალან და კაცობრივს თანამომობელობას გაჰქცევიან სიმდიდრის მოყვარებითა, ღმერთნი განრისხებულან უმსახურობითა, — ვილას მივმართო? ვის დაუძახო? ვის შეუძლიან ჩ-ის უსასოებით დამძიმებულის გულის ამსუბუქება?

დამეცენით მთანო! თქუენ უფრო მსუბუქად აღმიჩნდებით, ვინემ ეს ტვირთი, რომელიც ახლა მე მაწევს... (ეჭიღენიას ეხვევა) შეილო, შენ მინდა დამეგდე ჩ-სუკან დედოფლად, შენ იყავ ჩემი მემკვიდრე, — ახლა მე უნდა ჩემის მემკვიდრის მემკვიდრედ დავრჩე!.. ახილ (გაუბრუნდება ახილესს), ახილ, შეილო, თუ ვღირს-ვარ ჭეტიდას შეილის შეილად წოდებასა, ახილ, შენმა სახელმა მოგიყუანა, შენის სიყუარულის მსხუტერპლად შევიწირენით, შენთვს მომიმართავს, შენს წინ მიჩოქია, — ნუ იუცხოვებ მრავლის სახელმწიფოს დედოფლის შენ წინ დაჩოქებას, დედას მიჩოქია — ქალის წარწყმედის მოშიშსა... როდის წავა ეს ღმერთებთან? როდის მოეხუტვა იმათს საკურთხეველსა? როდის იქადრებს უფნუანის სულის შეგრძობასა? შენთვს მოუმართავს, შენა ხარ ამისი დღეს — მამა, ქმარი და ღმერთი.

**ახილ.** ვფიცავ დიესპიტერის ძლიერებას, რომ ახლავ შენს ნებას აღვასრულებ, წავალ, ალამემნოს შეგებში, ამოვსწყუტ სულ ქურუმთა, და ბერძენთ სისხლს ღუარად ვადენ (მიდის განმწარებული).

**ეჭიღენია** (იქერს). ახილ, თუ მე გიყუარვარ, — მამის ჩ-ის პირის-პირ როგორ შეიკურვი? ხომ იცი, მამა — ჩემს სიცოცხლეს მირჩენია.

**ახილ.** შენის სიცოცხლისთვის მინდა ჩ-ის (სიცოცხლის) შეწირვა, — ალამემნონ უწინდელი ჩემზედ უსამართლოება შენის დაპირებისათვს დაუთმე. არა, წავალ, ბერძენთ ამოვსწყუტ (მიდის).

**ეჭიღენია.** (კალთას უქერს). ახილ, შენი ჩ-ის მამის პირის-პირ ხმლის ამოღება — მე მომკლავს. რისათვს ვაირჯები? თუ ჩემი სიამოვნე გინდა — მამას ჩემზედ ნუ გაამწარებ, ნუ შემიქმ ღირსსა იმისგან გამომეტებულად დაკვლისასა: მე სიხლი, მისი წყალობა, მიდგას, თავისი თითონ ეჭირვება, — ნუ უქერ, დაეხსენ დაქციოს.

**ახილ** (საიდუმლოდ). ვიშ ამ სულსა! ვიშ ამ გონებასა! ვიშ მამისათვს

შვილისაგან თავისდადებასა! მე (აშკარად), მე იმას ვიქმ, რაც შენი ნებაა (წავა).

**(ალამემნონ და ისინი).**

**ალამემნონ** (დაიძახებს). არკაზ!.. (შემოვა). ახლავ დედოფალს იახელ და გაიპარენით სანამ ბერძენნი თქუენს წასვლას შეიტყობდნენ, (დედოფალს) ეცადე ლაგირიდამ გაასწრო, (მიდინ, ალამემნონ გაჰყვა).

**არო-მუახლემ.** მე ამას არ დავმალავ: ამდენი ხელმწიფე ზღუაში უნდა დაინთქას, ეფიღენია გაიპაროს, იმან ახილეს შეირთოს და მე საუკუნოდ ამათს დევნაშიდ ვიტანჯო! არა, მე არ დავმალავ, ახლავ წავალ და ბერძენთ ვეტყვი (წავიდა ბერძენთაკენ).

**გამოცხადება ზ.**

**მოქმედება 3.**

(ალამემნონ შემოვა. მეორის მხრიდან ახილეს შემოვა იარალით).

**ახილეს** (გაჯავრებული). დღევანდელმა დღემ ჩემი ღუმელი, რ-ლიც აქამომდე მეპყრა, არათუ რომლითამე შიშითა, არამედ მოუთმინელათა სიდიდითა სირცხვილისათა, ახალი ჩემთან შენი შეცოდება, და დღევანდლამდის თითქმის გაუგონელი, ჩემს ყურს, ჩემად გასამწარებლად, ესმა, — არ გეყო ჩემი ამდენი უსამართლოდ ჩაგვრვა და შენი უკადრისის ნების ჩემზედ აღსრულება? ერთხელ ნატყუნავიდამ უწილო გამიშვი, — მოვითმინე, ამიტომ რომ სულს მოთმინე შენდლო; მეორედ, ბრეზეიდა წამართვი — დავითმინე, ამიტომ რომ იძულე-ბულ ვიყავ დათმობისა; ახლა ეგეც იფიქრე, კალხაზის შეშინებულმან და ულისეს რჩევის დამჯერებულმან, სიამარმა ცოლი გინდა წამართვა და მამამ შეილი დაჰკლა, რ-ლიც ჩ-ის სასჯელის ფასად მომეცა! დიდი ხელმწიფე ხარ, მაგრამ შენზედ კიდევ მოსამართლე იპოება. აი ქეშმარიტი მსაჯული, რომელიც შენის შურისძიების მაგიერს მოგაგებს (ხმალს იღებს).

**ალამემნონ.** რკინისა ალამემნონს არ ეშინიან, ალამემნონს ბეური უნახავს

უსაშიშრესი, და არ დამპრობო: ალამემნონ შენ თავისი... ანა... არ მოგცემს, მე ვიცი რასაც ჩავდი, შენ არა გკოთხავ უმჯობესის გამორჩევასა.

**ახილ** (მიდის; ახილ მობრუნებული): გაცნობებ მკითხავ თუ არა! (გავა).

**გამოცხადება 3.**

**მოქმედება 3.**

(კლიტენმესტრა და ეჭიღენია).

**კლიტენმესტრა:** ეს რა იეღუა! ცეცხლი იყო თუ სასურველი ეღუა?

**არკაზ** (სირბილით შემოვა და ქაქანით ამბობს): დაჰსცხვრით, დაჰსცხვრით გლოვისაგან, დედოფალო, — ღმერთთ, შენის მწარეს ოხვრის მსმენელთა, მოწყალების სიტკობება მოგვამდღეს: ოდეს ახილ ეჭიღენიას სიცოცხლის დასაფარავად მრავალთ ბერძენთ სულთ ჯოჯოხეთად წარავლინებდა, მაშინ არო, თქუენგან უცნობი პრინცესა, ეფიღენიას გაპარუსი შესასმენად სამსხუტერპლოს წინ გამოვიდა; კალხაზ, განბრძნობილი წინასწარ-მცნობელობითისა სულითა, წამუყოფდა ბერძენთ დავსპიტერის ღროშით ისრეთ: «დასცხვრით, დასცხვრით, ბერძენო! რად აღვა დინება სისხლისა? აჩუენა თითოთ არო ქალწულა — ქალად ელენასად, და სთქვა: «ღმერთთ ამისი სურთ სისხლის დაქცევა, ეს არის ეფიღენია, მზაკვრობით დამალული ელენასაგან სახელსა ქუტშე აროსათა», — და მყის მიმართა საკურთხევესა ზედა დებულსა დანასა. რა, არო-ყოფილმა, ეფიღენიამ ეს ისმინა, უთხრა: «რადგან ღმერთთ ჩემი ნებავს სისხლი დასაქცეველად, — მე თვთ შევიწირვი და არა შენისა სისხლისა მოყუართა ხელითა დავიკვლი, — მისაწრა, დანა დაიკა და დაანთხივა, სადიდებულად ღმერთთა, უმანკო სისხლი თვისი. რა დაეცა ესე მიწასა ზედა, მყის მოსცა შენამან ეღვით ცუარი ზეგარდამო და ქარისაგან სახსენად შეკრულისა ოკიანისა მდინარეობასა დაუბერა.



ო. შლინა

- ეს ვისი ვენახია?
- ჩემი იყო, ეხლა მიკირტუმოვისაა!
- ეს სახლკარი და მამული ვილასია?
- ჩემი იყო, ეხლა არუთინოვისაა!
- ეს სახნავ-სათესი მინდვრები?
- ჩემი იყო, ეხლა ავეტისოვისაა!
- ეს ტყეები?
- ჩემი იყო, ეხლა კი ამბარტუმოვისაა!
- მიკვირს, თავადო, როგორ მოხდა, რომ შენ თვით რომელსამე ნახაპეტანცს არ ეკუთვნე! ბარაქალა, მამულიშვილო!



თბილისის სიცხეში.